

თიროქსინი (T4)

თიროქსინი ერთერთია იმ ჰორმონებიდან, რომლებსაც ფარისებრი ჯირკვალი წარმოქმნის. ის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტაბოლიზმის რეგულირებაში და თირეოიდული ჰორმონების 90%-ს შეადგენს. სისხლში T4-ის მხოლოდ 0.1%-ია თავისუფალი (შეუკავშირებელი ცილასთან), დანარჩენი დაკავშირებულია თიროქსინ-შემბოჭველ გლობულინთან.

T4-ის პროდუქცია კონტროლდება ჰიპოთალამუსისა და ჰიპოფიზის მიერ. როდესაც სისხლში T4-ის კონცენტრაცია იკლებს, ჰიპოთალამუსი გამოყოფს თიროტროპინ-რილიზინგ ჰორმონს, რომელიც ასტიმულირებს ჰიპოფიზის მიერ TSH-ის გამოთავისუფლებას. თავის მხრივ, TSH ასტიმულირებს ფარისებრი ჯირკვლის მიერ T4-ის გამოყოფას. თუკი T4-ის დონე სისხლში იმატებს, მაშინ უარყოფითი უკუკავშირის გზით TSH-ის გამოყოფა ითრგუნება.

რატომ კეთდება T4-ის ტესტი?

ეს ტესტი განსაზღვრავს სისხლში საერთო თიროქსინის რაოდენობას. სამწუხაროდ, T4-ის ტესტის შედეგებზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორმა, მათ შორის სისხლში ცილის შემცველობამ. ამის გამო, FT4-ის ანალიზი უფრო ზუსტ ტესტად არის მიჩნეული. ეს უკანასკნელი მხოლოდ თავისუფალი თიროქსინის რაოდენობას განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა დაავადებებისას, T4-ის ტესტი მაინც საგრძნობლად ეხმარება ექიმს დიაგნოზის დასმაში.

T4-ის ტესტი ტარდება მაშინ, როდესაც ადამიანს აღენიშნება ჰიპერ- ან ჰიპოთირეოიდიზმის სიმპტომები ან თუ TSH-ის ანალიზის პასუხებში ნორმიდან გადახრა დაფიქსირდა.

T4-ის ტესტი ინიშნება:

- ჰიპოთირეოიდიზმის ან ჰიპერთირეოიდიზმის დიაგნოსტიკისთვის
- ახალშობილებში თანდაყოლილი ჰიპოთირეოიდიზმის სკრინინგისთვის
- მკურნალობის ეფექტურობის მონიტორინგისთვის იმ პაციენტებში, რომელთაც ფარისებრი ჯირკვლის რომელიმე დაავადების გამო უტარდებათ მკურნალობა
- როდესაც პაციენტს აქვს ჩივივი

აგრეთვე, T4-ის ტესტი ექიმებს ეხმარება დაადგინონ ქალებში უნაყოფობის მიზეზი.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

ანალიზსთვის იღებენ სისხლს ვენიდან. სპეციალური მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია

ზოგადად, T4-ის მაღალი დონე ჰიპერთირეოიდიზმზე მიუთითებს, ხოლო დაბალი - ჰიპოთირეოიდიზმზე.

მხოლოდ T4-ის ტესტის შედეგები საკმარისი არ არის დიაგნოზის დასასმელად და ამიტომ მასთან ერთად ხშირად ინიშნება სხვა ანალიზებიც: TSH-ის, T3-ის ან თირეოიდული ანტისხეულების ტესტები. ეს ანალიზები ექიმს ეხმარება T4-ის ტესტის შედეგების უფრო ზუსტ ინტერპრეტირებაში.

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

ზოგიერთმა მედიკამენტმა (მაგ. ორალურმა კონტრაცეპტივებმა) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე.